სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/33

ქ. თბილისი 18 აპრილი 2022 წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანლის 2022 წლის 11 აპრილის №372791 სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 18 აპრილის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ძირითად ადგილად თბილისის ფარგლებში, განისაზღვროს კახეთის გზატკეცილის №36-ში (ისანი - სამგორის რაიონი) მდებარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული 27 538 მ² ფართი და იქ განლაგებული შენობა-ნაგებობა;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის ცვლილების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს, ეტაპობრივად მოამზადოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადები სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად;
3. აკადემიური საბჭოს დადგენილება წარედგინოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) განხილვის მიზნით;

4. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე